წ ა ლ კ ა

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი N 34

ქ. წალკა; 07.09.2026 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა აბულაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალი ბერიძე, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი იდა ბალაბანოვა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ალექსეი მუხსიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე უშანგი ბოლქვაძე, ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე ბადრი ხოზრევანიძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის).

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:15 საათზე;

დღის წესრიგი:

დადგენილების პროექტი “"წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”.

სხდომამ განიხილა:

სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი “"წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ". ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, დაიწყოს დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურები, დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და საკრებულოს ფრაქციებს, სხდომებზე განიხილონ დადგენილების პროექტი ""წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" და არაუგვიანეს მ/წლის 21 სექტემბრისა, საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის, წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი* *ი.გიგინეიშვილი*